



ბათუმის საკრებულოსთან მიმდინარე პროტესტის დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებული აქტივისტი სასამართლომ გაათავისუფლა

2021 წლის 30 მარტს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაგეგმილი იყო ბათუმის ზღვისპირა პლაჟის მონაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემის საკითხის განხილვა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აღნიშნულ პროექტის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს საზოგადოების მაღალი საჯარო ინტერესი, თუმცა საჯარო სხდომას ვერ დაესწრო ბევრი დაინტერესებული პირი, რასაც საჯარო პროტესტი მოჰყვა. სამოქალაქო აქტივისტი, ალბერტ არაქელაძე, ერთ-ერთი მათგანია, რომელიც დრამის ჯობების ხის დაფაზე დარტყმით გამოხატავდა საკუთარ პროტესტს, როგორც საჯარო სხდომაზე დასწრების უფლების შეზღუდვის, ასევე საკრებულოზე განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

პროტესტის გამოხატვის დროს, პოლიციამ იგი ადმინისტრაციული წესით დააკავა და მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი წვრილმანი ხულიგნობის მუხლით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ალბერტ არაქელაძის საქმე დღესვე განიხილა და დაადგინა, რომ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება და დაკავებული აქტივისტი გაათავისუფლა.

ალბერტ არაქელაძის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.